

შპს „უ ნ ი ფ ე ი“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ანგარიშგების მომზადების და შეფასების საფუძვლები
3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
5. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება
6. ძირითად საშუალებები და არამატერიალური აქტივები
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
8. კაპიტლი
9. შემოსავლები
10. საკომისიო ხარჯები
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები
12. ფინანსური ანგარიშგების საარღიფხო პოლიტა

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1185318	1204775	1049083
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1826856	867373	343276
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2119	3913	8888
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	18037	20294	24079
ძირითადი საშუალებები	106326	133506	161677
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3138656	2229861	1587003
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2831416	1987703	1208090
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	20869
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2831416	1987703	1228959
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	12425	12425	110425
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	294815	229733	247619
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	307240	242158	358044
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3138656	2229861	1587003
სულ მოკლევადიანი აქტივები	3015492	2076061	1401247
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	7819277	6488628
საქონლის გაყიდვიდან	0	3699
მომსახურების გაწევიდან	7809277	6469435
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	10000	15494
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	7819277	6488628
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-832679	-723643
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-32320	-36852
საპროცენტო შემოსავალი	150	150
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-64137	-85714
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6849595	-5660455
სულ საოპერაციო ხარჯები	-7778581	-6506514
საოპერაციო მოგება	40696	-17886
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	24386	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	65082	-17886
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	65082	-17886
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	65082	-17886
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	242158	358044
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-98000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	307240	242158

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-43843	155692
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-43843	155692
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	24386	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1204775	1049083
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1185318	1204775

ს. ჯიშინაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს უნიფი (401953999) შემოსავლების სამსახური მიეწ რეგისტრირებულია 2011 წლის 06 იანვარს და წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს 2012 წლიდან.

შპს უნიფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მმს ფასს სტანდარტის მიხედვით.

2. ანგარიშგების მომზადების და შეფასების საფუძვლები კომპანიის ფინანსური ანგარიშგება

მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ხდება ლარში, გადაანგარიშების ან გადაფასების დღეს დაფიქსირებული გაცვლითი კურსით, ხოლო ფინანსური აქტივების და ვალდებულების გადაანგარიშება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიწერ დადგენილი კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. კონვერტაციის ხარჯი/კურსთაშორისი სხვაობა აისახება ზარალი ანგარიშზე და შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ წელს _ 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს განვითარების ეტაპობრივი გეგმები და იდეები მომავალი პერიოდებისთვის.

შპს „უნიფი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებებში მონაცემები შეფასებული და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31/12/2022	31/12/2021
ფული სალაროში	0	346.91
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,165,018.92	1,132,322.64
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	20,299.24	72, 105.92
	<u>1,185,318.16</u>	<u>1,204,775.47</u>

კომპანიას ბანკებში მიმდინარე ანგარიშების გარდა აქვს ნომინალური მფლობელობის ანგარიშები, ეს ანგარიშები განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებელთა თანხების განსათავსებლად და მათ მიმართ ვალდებულებების დასაფარად. ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს განთავსებული იყო 191 671.35 ლარი და 776 769.32 ლარი შესაბამისად.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიას ძირითადად მოთხოვნები აქვს სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და ბანკების მიმართ, რომლებიც ჩართული არიან უნიფის ოპერაციების შესრულებაში, ასევე, კომპანიას ავანსის სახით გაცემული აქვს მცირე ოდენობის თანხა მომწოდებელზე:

	31/12/2022	31/12/2021
მოთხოვნები საგადახდო მომსახურებიდან	1,826,856.50	867,373.60
სხვა ავანსები	<u>1,583.40</u>	<u>2,889.24</u>
	<u>1,828,439.90</u>	<u>870,262.84</u>

5. საგადასახადო აქტი/ვალდებულება

როგორც დადგენილია, საქართველოს კანონმდებლობით, კომპანია საბიუჯეტო გადასახადებს იხდის ერთიან საბაზინო კოდექსით, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების ნეტო ღირებულება შეადგენს 535.69 და 1023.55 ლარს, შესაბამისად.

6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებებზე და არამატერიალური აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება რეალური მომსახურების ვადის მიხედვით ან ცვეთის მეთოდის არჩევით ასევე, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია მათი შეძენისთანავე, იმის მიხედვით თუ რა პერიოდის განმავლობაშია ხელმისაწვდომი ეს აქტივი კომპანიისთვის. კომპანიის ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომპიუტერული და ტექნიკური მოწყობილობები. არამატერიალურ აქტივებს შეადგენს სერტიფიკატები, პროგრამები. დომენები ლიცენზიები, ვებ გვერდი, სასაქონლო ნიშანი.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები, ძირითადად შედგება, პროვაიდერების მიმართ ვალდებულებებისგან და საგადახდო მომსახურებისთვის მიღებული ავანსებისგან, კომპანიას არ აქვს საგადახდო მომსახურებისთვის დარიცხული საკომისიო ვალდებულებები და თანამშრომლეთა მიმართ ვალდებულებები.

შპს „უნიფი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	31/12/2022	31/12/2021
ვალდებულებები საგადახდო მომსახურებიდან	2,764,169.26	1,701,396.05
საგადახდო მომსახურებისთვის მიღებული ავანსები	63,227.01	283,286.19
ვალდებულებები საქონლის და მომს. მომწოდ. მიმართ	4,019.73	3,020.76
	<u>2,831,416.00</u>	<u>1,987,703.00</u>

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 307 240 ლარს და 242 158 ლარს, შესაბამისად.

9. შემოსავლები

კომპანია შემოსავალს საკომისიოს სახით იღებს მის სისტემაში ჩართული ობიექტებისგან. 2022 და 2021 წლის შემოსავლები შედგება:

	2022	2021
აზარტული თამაშები	7,595,340.72	6,290,430.57
ონლაინ თამაშები	16,530.76	16,295.85
ელექტრონული კომერცია	197,406.00	161,946.84
კომუნალური გადახდები	-	761.98
	<u>7,809,277.48</u>	<u>6,469,435.24</u>

შპს „უნიფი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

10. საკომისიო ხარჯები

კომპანიის შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებია პროვაიდერებისთვის და ბანკებისთვის გადახდილი საკომისიო ხარჯები. ასეთმა ხარჯებმა 2022 და 2021 წლებში შეადგინა 6 713 352 ლარი და 5 500 702 ლარი, შესაბამისად.

11. სხვა ხარჯები

კომპანიის სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები ჯამში 2022 და 2021 წლებში შეადგენს 136 243 და 159 753 ლარს შესაბამისად.

შპს „უნიფი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგება მომზადების პროცესში გამოყენებულია ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანია აღრიცხვას აწარმოებს ფულად გამოსახულებაში, ეკონომიკური მოვლენების განუწყვეტელი და დოკუმენტური ასახვით. ოპერაციების ასასახავად გამოიყენებს საქართველოს ეროვნულ ვალუტას, ლარს. აქტივები-კომპანიის ეკონომიკურ რესურსებს წარმოადგენენ, რომლებიც მისი საკუთრებაა, მის განკარგულებაშია ან მის მიერ კონტროლირებადი, ღირებულება გააჩნია და კომპანიის საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება. მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები ბალანსში აისახება სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების სახით. ფულადი საშუალებები კომპანიისთვის გადახდისა და ყოველგვარი ანგარიშსწორების საშუალებაა. ისინი მუდმივ ბრუნვაშია და აისახება კომპანიის სალაროში და კომპანიის საბანკო ანგარიშებზე. თანხების ჩარიცხვა/გადარიცხვა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნები ანუ დავალიანებები კომპანიის მიმართ, რომლებიც წარმოიშობა ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, ირიცხება საბანკო ანგარიშებზე, ხელშეკრულებების თანახმად, გარკვეულ ვადებში. გრძელვადიანი აქტივები ბალანსში მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების სახითაა წარმოდგენილი. გრძელვადიანი მატერიალური აქტივებია ძირითადი საშუალებები, რომელთა შეფასება მოიცავს თვითღირებულების, საიმპორტო საბაჟო გადასახადების, მისი დანიშნულების ადგილამდე მიტანის და სამუშაო მდგომარეობასთან მოყვანის ხარჯებს. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ დღიდან როცა შესაძლებელია მისი გამოყენება, ხოლო ცვეთის დარიცხვა წყდება იმ დღიდან როცა წყდება მისი აქტივად აღიარება. თუმცა არ წყდება ცვეთის დარიცხვა, როცა აქტივი ხდება გამოუყენებელი ან აქტიური მოხმარებიდან არის გამოსული, სანამ აქტივს არ დაერიცხება სრული ცვეთა. ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთის მეთოდის არჩევის ან აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მიზნით, საანგარიშო წლის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, ჩატარდება ინვენტარიზაცია. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში სისტემატურად ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. კომპანია „უნიფი“-ს არამატერიალური აქტივები მოიცავს სერტიფიკატებს, პროგრამებს, დომენებს, ლიცენზიებს, ვებ-გვერდს, სასაქონლო ნიშანს . ვალდებულებები - კომპანიის მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებებს მიეკუთვნება გადასახდელი ხელფასებიც, დარიცხული ხარჯები,

გადასახდელი გადასახადები და ა.შ. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება ყველა ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების სასარგებლოდ. ვალდებულებები ჯგუფდება დაფარვის ვადების მიხედვით მოკლევადიან (მიმდინარე) და გრძელვადიან ვალდებულებებად. მოკლევადიანი ვალდებულება, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია მიმდინარე კომპანიის ციკლის ან წარმოქმნის თარიღიდან სრული 12 თვის განმავლობაში. მათი დაფარვა არსებული საბრუნავი აქტივებით ან ახალი მიმდინარე ვალდებულებების წარმოქმნით ხდება. ყველა ვალდებულება, რომელიც მიმდინარედ არ იქნება მიჩნეული, გრძელვადიან ვალდებულებებს წარმოადგენს. საკუთარი კაპიტალი - კომპანიის მფლობელთა წილია ანუ კომპანიის წმინდა ღირებულება. იგი ტოლია აქტივების ღირებულებას გამოკლებული ყველა ვალდებულების საერთო თანხა. საკუთარ კაპიტალს მიეკუთვნება დამფუძნებელთა შენატანები, გაუნაწილებელი მოგება და მის საფუძველზე შემქმნილი სარეზერვო კაპიტალი. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში შემოსავლები განისაზღვრება როგორც კომპანიის ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემოსვლის ან ზრდის, და ვალდებულებების შემცირების სახით, რასაც მოჰყვება საკუთარი კაპიტალის ზრდა, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე. კომპანიის ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი შემოსავალი დაკავშირებულია ფულადი სახსრების ნაკადებთან: ა) ფულადი შემოსავლები გადახდებისგან მიღებული საკომისიოები, ბ) ფულადი შემოსავლები მომსახურების გაწევიდან მიღებული საკომისიოები საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება მომსახურების გაწევაზე გადახდილი საკომისიოები, შრომითი დანახარჯები, კომერციული (მარკეტინგის) ხარჯები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებულია დეპოზიტზე განთავსებული თანხისგან მიღებულ პროცენტთან, ასევე კურსთაშორისი სხვაობების სახით მიღებულ შემოსავალთან და ხარჯთან. განსაკუთრებული ხარჯები_ ისეთი ხარჯები, რომლებიც გამოწვეული იყო ჩვეულებრივი საქმიანობისგან განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციებისგან, რომლებიც რეგულარულად არ ხდება და შემთხვევითი ხასიათისაა. ბუღალტრული ბალანსის მომზადება ფულადი შეფასების პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნულ ვალუტით აისახება. ბუღალტრულ ბალანსში ასახული აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ახასიათებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსი წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ბუღალტრული

ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მზადდება, წარმოადგენს ვერტიკალურ ფორმატს და გამოიყენება დარიცხვის მეთოდი. სამეურნეო ოპერაციები დაჯგუფებულია შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით, აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია ცალცალკე. ეს არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

შპს „უნიფი“-ს დირექტორი

ლელა სვანიძე

